არაუზრუნველყოფილი სესხების გაცემის პროცედურის აღწერა



არაუზრუნველყოფილი სესხი (ანუიტეტური გადახდის გრაფიკით)					
ჯგუფი	სესხის თანხა (ლარი)	უზრუნველყოფა	სესხის ვადა	საპროცენტო განაკვეთი	გაცემის საკომისიო
1	0-1000	თავდები საკრედიტო კომიტეტის მოთხოვნით	<=18	70	-
2	1001-2000	თავდები (თბილისში რეგისტრირებული) და/ან ავტომანქანა	<=24	70	-
3	2001-5000	ორი თავდები (თბილისში რეგისტირებული) და/ან ავტომანქანა	<=36	55-60	2

სესხის დამტკიცებისათვის აუცილებელი მოთხოვნები:

საკრედიტო განაცხადის განხილვისას უნდა გაკეთდეს მსესხებლის სოციალური ანალიზი, შემოსავლის წყაროს ანალიზი, კრედიტ ინფოს ინფორმაციის ანალიზი.

1. მსესხებლის სოციალური მდგომარეობა ფასდება კლიენტთან უშუალო გასაუბრებით, კერძოდ პირველ და მეორე ჯგუფში ჩავარდნილი განაცხადების შემთხვევაში გასაუბრება არის სატელეფონო ან მისო-ში მსესხებელთან უშუალო საუბრისას. მესამე ჯგუფში ჩავარდნილი განაცხადების შესწავლა ხდება კლიენტის საცხოვრებელ სახლში და/ან ბიზნეს ადგილზე.

2. სავალდებულოა, სამივე ჯგუფში ჩავარდნილი განაცხადების განხილვისას, დასტურდებოდეს კლიენტის ყოველთვიური შემოსავალი დოკუმენტალურად ან ექსპერტის მიერ ჩატარებული ჯვარედინი გამოკითხვისას გაკეთებული ანალიზით (შემოსავლის წყაროს შესაძლო ვარიანტები განხილულია სესხის გაცემის პროცედურის აღწერაში).

3. ყველა პოტენციური კლიენტი სავალდებულოა გადამოწმდეს კრედიტ ინფოში. კერძოდ საგულისხმოა შემდეგი ინფორმაცია: 1. რა ტიპის სტატუსი აქვს მინიჭებული პოტენციურ კლიენტს კრედიტ ინფოს მიერ; 2. როგორი პროდუქტით სარგებლობს სარგებლობს განმცხადებელი; 3. რამდენი მიმდინარე და დახურული სესხი ფიქსირდება კრედიტ ინფოს ამონაწერში; 4. ნეგატიური სტატუსის შემთხვევაში, როგორი ტიპის სესხებზე ფიქსირდება დარღვევები და რა ვადიანი.

!!! საკრედიტო განაცხადის განხილვისას საკრედიტო კომიტეტმა უნდა იხელმძღვანელოს სოციალური, შემოსავალის წყაროს და კრედიტ ინფოს ინფორმაციის ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნით.

იპოთეკური სესხების გაცემის პროცედურის აღწერა



1. იპოთეკური სესხი ფიქსირებული გადახდის გრაფიკით

გადახდის გრაფიკი - ყოველთვიური შენატანი მხოლოდ პროცენტი, ვადის ბოლოს პროცენტი + ძირი			
სესხის მაქსიმალური ვადა - 6 თვე			
სესხის თანხა (ლარი)	დისკონტი	საპროცენტო განაკვეთი	სესხის გაცემის აუცილებელი პირობა
0-10 000	>=20	30-48	1. დასაბუთებული შემოსავლის წყარო; 2. ვადის ბოლოს სესხის ძირის ერთიანად გადახდის დასაბუთებული შესაძლებლობა
10 001-25 000	>=30	30-48	
25 001-50 000	>=40	30-48	
50 001-100 000	>=50	30-48	
>100 001	>=60	36-48	

2. არაშემოწმებადი იპოთეკური სესხი

გადახდის გრაფიკი - ანუიტეტური			
სესხის მაქსიმალური ვადა - 60 თვე			
სესხის თანხა (ლარი)	დისკონტი	საპროცენტო განაკვეთი	სესხის გაცემის აუცილებელი პირობა
0-10 000	>=20	30-48	სესხის გაცემისათვის არ მოითხოვება დადასტურებული შემოსავლის წყარო
10 001-20 000	>=30	30-48	

3. შემოწმებადი იპოთეკური სესხი

გადახდის გრაფიკი - ანუიტეტური			
სესხის მაქსიმალური ვადა - 60 თვე			
სესხის თანხა (ლარი)	დისკონტი	საპროცენტო განაკვეთი	სესხის გაცემის აუცილებელი პირობა
0-10 000	>=20	30-48	დასაბუთებული შემოსავლის წყარო
10 001-25 000	>=30	30-48	
25 001-50 000	>=40	30-48	
50 001-100 000	>=50	30-48	
>100 000	>=60	36-48	

საკრედიტო კომიტეტის შემადგენლობა (არაუზრუნველყოფილი სესხები) / სასესხო ხელშეკრულებაზე უფლებამოსილი პირები

სესის თანხა (ლარი)	საკრედიტო კომიტეტის შემადგენლობა	სასესხო ხელშეკრულებაზე უფლებამოსილი პირები
0-1 000	ან ჯგუფის უფროსი, ან საკრედიტო განყოფილების უფროსი, ან დირექტორი	ან ჯგუფის უფროსი, ან საკრედიტო განყოფილების უფროსი, ან დირექტორი
1 001-5000	ნებისმიერი შემადგენლობით აუცილებელი ორი წევრი - ჯგუფის უფროსი, საკრედიტო განყოფილების უფროსი, დირექტორი	ან ჯგუფის უფროსი, ან საკრედიტო განყოფილების უფროსი, ან დირექტორი

საკრედიტო კომიტეტის შემადგენლობა (იპოთეკური სესხები) / სასესხო ხელშეკრულებაზე უფლებამოსილი პირები

სესის თანხა (ლარი)	საკრედიტო კომიტეტის შემადგენლობა	სასესხო ხელშეკრულებაზე უფლებამოსილი პირები
ლიმიტის გარეშე	ნებისმიერი შემადგენლობით აუცილებელი ორი წევრი - საკრედიტო განყოფილების უფროსი, კონტროლინგის განყოფილების უფროსი (პოზიციის დასახელება არ ვიცი J ისე რეზიკო), დირექტორი	ან საკრედიტო განყოფილების უფროსი, ან კონტროლინგის განყოფილების უფროსი, ან დირექტორი